# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №178

2015 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

**გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ**

**მუხლი 1**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შემადგენლობა (დანართი №1).

2. დამტკიცდეს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის დებულება (დანართი №2).

**მუხლი 2**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2016 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ელექტრონული ფორმით რეგისტრაციისა და აღრიცხვის საკითხის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრის მიზნით სათანადო წინადადებების შემუშავება.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| პრემიერ-მინისტრი | ირაკლი ღარიბაშვილი |

***დანართი №1***

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 თებერვლის დადგენილება №85 - ვებგვერდი, 16.02.2017 წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილება №66 - ვებგვერდი, 09.02.2018 წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 მაისის დადგენილება №223 - ვებგვერდი, 14.05.2018 წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის დადგენილება №300 – ვებგვერდი, 24.06.2021 წ.*
*საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 მარტის დადგენილება №85 – ვებგვერდი, 21.03.2024 წ.*

## გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შემადგენლობა

1. **ილია ბეგიაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე.

2. **ნიკოლოზ როსებაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. **გიორგი დიდიძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

4. **პაატა ჯიოშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

5. **ალექსანდრე არაბული** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

6. **ვაჟა კიკნაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – კომისიის წევრი.

7. **ვახტანგ მაღრაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – კომისიის წევრი.

8. **მერაბ გონგაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი – კომისიის წევრი.

9. **ნინო ბახია** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

10. **გიორგი პეტრიაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის მიწის აგეგმვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი.

11. **მარიკა ოძელი** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) ქართული ენის სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

12. **თეა ტეტელოშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) ქართული ენის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – კომისიის წევრი.

13. **შორენა ხაჩიძე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს უფროსი – კომისიის წევრი.

14. **გიორგი ალიბეგაშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე – კომისიის წევრი.

15. **მიხეილ გვათუა** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – კომისიის მდივანი.

***დანართი №2***

**გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის (შემდგომში – კომისია) დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს კომისიის სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებს, უფლებამოსილებებსა და მუშაობის წესს.

2. კომისია არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო.

3. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებითა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 2. კომისიის ფუნქციები**

კომისიის ფუნქციებია:

ა) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად შესაბამისი წინადადებების შემუშავება და მათი რეალიზაციის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან დაკავშირებული სამუშაოთა დაგეგმვა და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ლექსიკონებისა და ცნობარების მომზადებისა და გამოცემის პროცესის კოორდინაცია;

დ) საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების დაცვისა და მართებულად გამოყენების კონტროლი;

ე) გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისას, საქართველოს მთავრობის შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა და ამ მიზნით, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დასადგენად, არსებულ სახელწოდებათა გამოვლენა, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და სახელდებული გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდებების გადარქმევისას სახელმწიფოებრივი ინტერესების, აგრეთვე, გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ადგილობრივი პირობებისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება;

ზ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ნორმალიზების მიხედვით, გეოგრაფიული ობიექტების ფართოდ გავრცელებული სახელწოდებების შერჩევა, მათი გამოყენების წესების განსაზღვრა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა კორექტირება ეროვნული ტრადიციების მიხედვით;

თ) გეოგრაფიული ობიექტების არსებული სახელწოდებების დადგენა და მათი ტრანსლიტერაციის წესის განსაზღვრა;

ი) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა რეგისტრაცია და აღრიცხვა, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით - ელექტრონული ფორმით;

კ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დაცვისა და მართებულად გამოყენების კონტროლის მიზნით, შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

**მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილებანი**

კომისია თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით, უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში ადგენენ ერთიან მოთხოვნებს, ნორმებსა და წესებს;

ბ) განიხილოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების შესაბამის ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა წინადადებები გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;

გ) გასცეს დასკვნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ენობრივი გამართულობისა და შინაარსობრივი მიზანშეწონილობის თაობაზე, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები ამ სფეროში;

დ) გასცეს დასკვნა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაგზავნი საქართველოს გეოგრაფიული ობიექტების ტრანსლიტერირებულ სახელწოდებათა გეოგრაფიული ობიექტების ტრანსლიტერაციის წესთან შესაბამისობის შესახებ;

ე) ითანამშრომლოს შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ) მოიწვიოს სპეციალისტი და შექმნას სამუშაო ჯგუფები კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით;

ზ) მიიღოს გადაწყვეტილება გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ცნობარისა და ლექსიკონის გამოცემის თაობაზე;

თ) განახორციელოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა რეგისტრაცია და აღრიცხვა, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და წესით - ელექტრონული ფორმით;

ი) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის საჭირო ინფორმაცია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისაგან;

კ) მოამზადოს წინადადებები კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

**მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და კომისიის წევრებისაგან.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს კომისიის დღის წესრიგს;

გ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

დ) იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრი არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება კომისიის არანაკლებ ორ სხდომას, უფლებამოსილია დასვას საკითხი კომისიის შემადგენლობიდან მისი გაყვანის თაობაზე;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) სარგებლობს კომისიის წევრთა უფლებამოსილებებით;

ბ) მონაწილეობს კომისიის საქმიანობაში;

გ) კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. კომისიის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;

ბ) კომისიის სხდომაზე წარადგინოს საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვასა და დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების/ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში;

გ) წინასწარ გაეცნოს განსახილველი საკითხების მასალებს;

დ) მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია განსახილველი საკითხების შესახებ, გამოთქვას აზრი და მიაწოდოს კომისიას საკუთარი წინადადებები;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

**მუხლი 5. კომისიის საქმიანობის ზოგადი წესი და კომისიის სხდომის ჩატარების წესი**

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით (მათ შორის, ელექტრონული ფორმით). სხდომის ელექტრონული ფორმით მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე. კომისია იკრიბება წელიწადში ოთხჯერ მაინც. მორიგი სხდომის მოწყობის თარიღს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. რიგგარეშე სხდომას (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) იწვევს კომისიის თავმჯდომარე, მისივე გადაწყვეტილებით ან კომისიის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. კომისიის სხდომა იმართება დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით.

4. კომისიის მდივანი ვალდებულია, სხდომაზე განსახილველი საკითხები, სათანადო მასალებთან ერთად, არანაკლებ სამი დღით ადრე მიაწოდოს კომისიის ყველა წევრს, მოწვეულ სპეციალისტსა და სხვა დაინტერესებულ პირს.

5. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

7. კომისიის სხდომები ღიაა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

8. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, ხოლო ელექტრონული ფორმით ჩატარებული სხდომისას – კომისიის წევრთა უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ ელექტრონული ფორმით პოზიციის დადასტურების შემთხვევაში. გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრით.

9. კენჭისყრა, როგორც წესი, ღიაა. კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად გამართვის შესახებ.

10. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

11. კომისიის სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის მდივანი.

12. კომისიის გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. კომისიის სხდომის ოქმში უნდა აისახოს ინფორმაცია კომისიის ნებისმიერი წევრის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავის შეკავების, უარის თქმის შესახებ ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი. კომისიის სხდომის ელექტრონული ფორმით ჩატარების შემთხვევაში, კომისიის წევრების მიერ ელექტრონული ფორმით წარდგენილი პოზიცია დაერთვება კომისიის სხდომის ოქმს.

13. კომისიის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული საორგანიზაციო და სხვა სახის გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად კომისიაში გაერთიანებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისათვის.

14. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის დადგენილება №300 – ვებგვერდი, 24.06.2021 წ.*

**მუხლი 6. კომისიის ანგარიშვალდებულება**

კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. კომისია საქართველოს მთავრობას წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, ხოლო საქართველოს პარლამენტს აწვდის ინფორმაციას „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების თაობაზე.